საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N822 2023 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ (დანართი №1) 6[1] მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის ხარჯების დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრიობებით:

ა) სათესი და სარგავი მასალის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ბ) პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

გ) შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;

დ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქვეკომპონენტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე ერთ სეზონზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება არანაკლებ 10 000 ლარიდან არა უმეტეს 100 000 ლარის ჩათვლით.";

გ) მე-6 – მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

7. სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი განსაზღვრავს კონკრეტული ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალურ ხარჯს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით.

8. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სესხის თანხის ინვესტირება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრეების თანხმობა სესხის ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო

სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის ვადაზე ნაკლები).

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხზე ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალურ ხარჯს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით.“.

2. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ (დანართი №1) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის სეზონზე ამოქმედდეს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის შემდეგი ქვეკომპონენტი – „ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის“.

3. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ შეუფერხებლად განხორციელების მიზნით,

არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 5 ერთეულით, რომელთა შრომის ანაზღაურება დაფინანსდება პროგრამის – „შეღავათიანი აგროკრედიტები“ (პროგრამული კოდი: 31 05 02) ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**